პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზეhttp://www.gtu.ge/study/index.phpგამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

სავალდებულოა უცხოური ენის B2 დონეზე ფლობის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) დამადასტურებელი სერთიფიკატის/დოკუმენტის წარმოდგენა. აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ უცხოენოვანი პროგრამა) გამოცდის ჩაბარება ან სერთიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ;

აპლიკანტი, რომელიც ვერ წარმოადგენს აღნიშნულ სერთიფიკატს, ვალდებულია ტესტირება გაიაროს სტუ-ს კომპიუტერულ ცენტრში ერთ–ერთ უცხოურ ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული).

პროგრამის მიზანია:

მოამზადოს საინვესტიციო-სამშენებლო პროექტების, სამშენებლო საქმიანობის განმახორციელებელი, მშენებლობის სისტემური და სიღრმისეული ცოდნის მქონე მაღალკვალიფიციური მენეჯერები.

1: შესძინოს კურსდამთავრებულებს ახალი ინოვაციური მიდგომებით პროექტის მომზადების, სამშენებლო ბიზნეს-პროცესების დაგეგმვისა და წარმართვის, კოორდინირებისა და მონიტორინგის, სამშენებლო კომპანიის ცალკეული სამეურნეო რგოლის მაღალ ეკონომიკურ და სოციალურ ეფექტზე გათვლილი, ეფექტიანი გაძღოლის პრაქტიკული უნარები;

2: შესძინოს კურსდამთავრებულებს შენობების აგების, მონტაჟისა და აღჭურვის, საინჟინრო-ტექნიკური გადაწყვეტების პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებაზე დამყარებული ცოდნა.

3: შესძინოს კურსდამთავრებულებს შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების დამოუკიდებლად წარმართვის მყარი საფუძველი.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმენტის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნით, აანალიზებს და აფასებს სამშენებლო პროდუქტის (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი, კომერციული და ინდუსტრიული შენობების) აგების და აღჭურვის უახლეს ტექნოლოგიებს;
2. სიღრმისეულად აანალიზებს სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის მდგრადი განვითარების პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ცალკეული დასახლებების დონეზე ტერიტორიების გამოყენების, მათი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ჰარმონიზაციას;
3. აანალიზებს კომპანიის მენეჯმენტის მიერ სამშენებლო ბიზნესის რეგულირებასთან დაკავშირებით მოქმედი სამართლებრივი და ნორმატიული დოკუმენტების დადებით ან უარყოფით მხარეებს.
4. უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში განიხილავს ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციას და ნაგებობების აგების და შენარჩუნების უახლესი ტექნოლოგიების

სისტემური ცოდნის გამოყენებით ახდენს რთული (კომპლექსური) სამშენებლო პროცესების დამოუკიდებლად მართვას. 5. სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნით ადგენს სამშენებლო-საინვესტიციო პროექტების წარმართვის და ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმებს; კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით სწორად არჩევს კაპიტალური დაბანდებების დაფინანსების წყაროებს და სამშენებლო სფეროს ზოგიერთ უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის; 6. რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებით, ახდენს ახალი იდეების ფორმულირებას, მენეჯერული უნარებით და საინჟინრო პრობლემების გადაჭრის უახლესი მეთოდებით, გეგმავს და დამოუკიდებლად ახორციელებს საინვესტიციო - სამშენებლო პროექტებს; 7. რელევანტური მენეჯერული სტრატეგიების ცოდნით და ეფექტური კომუნიკაციით, მართავს მულტიდისიპლინურ გუნდს და იღებს პასუხისმგებლობას გუნდის წევრების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე. 8. აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე წარადგენს საკუთარ არგუმენტებს და დასკვნებს მშენებლობის ინჟინერიის სფეროში, როგორც სპეციალისტების, ასევე არასპეციალისტების აუდიტორიის წინაშე; 9. დამოუკიდებლად გეგმავს საკუთარი სწავლის გაგრძელების შემდგომ მიმართულებებს და წარმართავს მას.
შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით. დადებითი შეფასებებია: ● (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; ● (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა; ● (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა; ● (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა; ● (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა. უარყოფითი შეფასებებია: ● (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ● (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. **კვლევითი კომპონენტი: სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა -** სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კომპონენტი. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომის წარდგენის, საჯარო დაცვისა და **შეფასება ხორციელდება ერთჯერადად, შეფასება ხდება 100 ქულით.** შეფასების წესი და პროცედურა განსაზღვრულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2012 წლის 26 ივნისის №704 დადგენილებით დამტკიცებული „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესით“.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე წარდგენამდე, მაგისტრანტმა, სამაგისტრო ნაშრომთან ერთად, დეკანთან უნდა წარადგინოს ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა, აგრეთვე განცხადება **სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის არსებობაზე შემოწმების** თხოვნით. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი იხილეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_dan5_181119_SD.pdf მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების წესი იხილეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/sasw_proc_mart_inst_18.1119_SD.pdf საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესი იხილეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: shorturl.at/lsPW7

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1.	1.1 საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)	5
	1.2 საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ფრანგული)	
	1.3 საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (გერმანული)	
	1.4 საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (რუსული)	
2.	საინჟინრო და სამეცნიერო კვლევის საფუძვლები	5
3.	თანამედროვე საშენი მასალები და სისტემები მშენებლობაში	4
4.	არქიტექტურული და სამშენებლო კანონმდებლობა და ნორმატიული დოკუმენტები	3
5.	კაპიტალდაბანდების პოლიტიკა და ფინანსური გადაწყვეტილებები	3
6.	სამშენებლო - საინვესტიციო პროექტების მართვა	4
7.	სტრატეგიული მენეჯმენტი	3
8.	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	3
9.	9.1 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	5
	9.2 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	
	9.3 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	
	9.4 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	
10	სპეციალური სამშენებლო კონსტრუქციები	5
11	მონოლითური მშენებლობის ტექნოლოგია	5
12	სამშენებლო ბიზნეს პროცესების და ოპერაციების მენეჯმენტი	5

13	უძრავი ქონების ბაზრის მარკეტინგული კვლევა	3
14	14.1. საგადასახადო პოლიტიკა	3
	14.2. საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები	
	14.3. საქალაქო მეურნეობის ეკონომიკა და მენეჯმენტი	
	14.4. ბიზნეს-გარემო სამშენებლო საქმიანობისათვის	
15	15.1. მშენებლობის ექსპერტიზა	4
	15.2. ინოვაციები მშენებლობაში	
	15.3. ლოგისტიკა	
16	ხარისხის და უსაფრთხოების მენეჯმენტი მშენებლობაში	5
17	შენობა-ნაგებობები და კომბინირებული სისტემები	5
18	რისკების ინჟინერია მშენებლობაში	5
19	შენობების და ნაგებობების საინჟინრო აღჭურვა და მართვა	5
20	წინა სამაგისტრო პრაქტიკა	10
21	**სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა**	30